ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 254

"22" დეკემბერი 2014 წ

ქ. თბილისი

ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, ე.წ. მუხიანი 2-ის დასახლებაში შორაპნის ქუჩისთვის და მასთან არსებული ჩიხისთვის გიორგი გურამიშვილის სახელის მინიჭების შესახებ

1. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე–16 მუხლის მე–2 ნაწილის „პ"ქვეპუნქტის და „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2011 წლის 27 მაისის №6–27 გადაწყვეტილებისა და "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 5 ივნისის N 6-17 გადაწყვეტილების პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის დამტკიცებული დანართი N2-ის შესაბამისად ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) გლდანის რაიონში, ე.წ. მუხიანი 2-ის დასახლებაში შორაპნის ქუჩას და მასთან არსებულ ჩიხს მიენიჭოს კრწანისის ომის გმირის, ერეკლე II ჯარის არტილერისტის, მაიორ გიორგი გურამიშვილის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

ბ) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ ორი თვის ვადაში უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი

X_486637.495
Y_ 4626278.53
ბოლოვარიანი მეგობრის ქუჩა
X_486828.32
Y_ 4626137.55
X_486732.62
Y_ 4626083.9527
I ბიბი
X_486952.885
Y_ 4626037.205